პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 78 (20119) კვირა, 3 აპრილი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

შაბათობა გვიხმობს

რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოებში ფართოდ ემზადებიან ლენინური კომუნისტური შაბათობისათვის. 16 აპრილს ქალაქის მრავალი შრომითი კოლექტივი აპირებს წლის დამდეგიდან დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით იმუშაოს.

• • •

მეოთხედ მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას გამოუშვებს 16 აპრილს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი". ამ მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სახალხო მოხმარების საქონელი. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით ხუთი ათასი ელმავალმშენებელი. მათი უმრავლესობა იშრომებს უშუალოდ სამუშაო ადგილებზე.

გაერთიანების კოლექტივი ვარაუდობს, რომ შაბათობის ფონდში გადარიცხავს 6 ათას მანეთს.

• • •

„ს" ინდექსიანი ხუთი სახეობის ქსოვილი აითვისეს წლის დამდეგიდან თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" მშრომელებმა. მათი პროდუქცია მომხმარებელთა მოთხოვნით სარგებლობს. კოლექტივმა იცის, რომ გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული პროდუქცია გაუსაღებელი არ დარჩება, ამიტომ ლენინური კომუნისტური შაბათობის დღეს მან გადაწყვიტა იმუშაოს გრაფიკის გასწრებით, გამოუშვას ოთხი ათას მეტრზე მეტი ქსოვილი, რომლის ყოველი მეორე მეტრი დავალების გადაჭარბებით იქნება წარმოებული.

დაგეგმილია შაბათობის ფონდში გადარიცხონ სამი ათასი მანეთი.

• • •

თბილისის ტელევიზორის ქარხნის „ეკრანის" ათას ხუთასზე მეტი მუშაკი მიიღებს მონაწილეობას შაბათობაში. ამ დღეს ისინი გამოუშვებენ თითქმის 60 ათასი მანეთის რთულ ტექნიკურ საქონელს. 16 აპრილს კოლექტივი აპირებს დაამთავროს მე-19 საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა პუნქტების უმრავლესობა.

რესპუბლიკის განახლების მაჯისცემა

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

გარდაქმნა სულ უფრო აქტიურად იჭრება საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ უჭერენ მხარს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის კურსს, პრაქტიკულად ხორცს ასხამენ განახლების იდეებს, მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას ადამიანთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ განვითარებული გარდაქმნის პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასრულებელი ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, სწორედ მათ, რომლებიც ბევრად განსაზღვრავენ ცვლილებების ტემპს, სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შესაძლებლობანი ეკონომიკის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თავიანთ მერვე სესიაზე, რომელიც 2 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, შეიკრიბნენ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ განახორციელონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონში ჩამოყალიბებული პრინციპები, უზრუნველყონ ფართო მასშტაბის ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა მოამზადონ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასაყვანად. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისინიც, ვინც დაინტერესებულია განსახილველი საკითხებით და გამოეხმაურა პრესაში გამოქვეყნებულ მიწვევას.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ბ. აბაშიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ნ. ი. ლაღიძე, ა. ქ. ღლაიაშვილი, ბ. ბ. ტეხოვი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ხ. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. შ. სირაძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი **ა. ა. იანოვიჩი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს სესიებს შუა პერიოდში გარდაცვლილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დ. ი. ჩხიკვიშვილის ხსოვნას.

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **შ. ვ. ყარყარაშვილის** მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატთა უფლებამოსილებების შემოწმების შესახებ, რომლებიც აირჩიეს გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ცნო უფლებამოსილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა: **ვ. ბ. ბლაჟიევსკისა,** რომელიც არჩეულია ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქში, **ე. ე. კაპბასი** — ლაგოდეხის რაიონის № 213 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში, **ვ. ა. შარაშენიძისა** — თერჯოლის რაიონის საარჩევნო ოლქში **ა. ვ. ჟვანიასი** — ჩხოროწყუს რაიონის № 345 ლესიჭინის საარჩევნო ოლქში, **ა. შ. იოხელიანისა** — ქალაქ გაგრის № 370 კურორტის საარჩევნო ოლქში.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში;
2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტი;
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **გ. ა. ზგერსკი** რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ მის გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი **ვ. ბ. ბლაჟიევსკი** — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ო. ე. ჩერქეზიამ.**

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: **რ. ა. ჯაფარიძე** — საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, **ო. გ. ზუხბაია** — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, **ე. შ. ბაძგარაძე** — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მქსოველი, **ა. ქ. ღლაიაშვილი** — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ზ. ა. იმანოვა** — მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ა. დ. დიხტიარი** — „თბილისქალაქმშენის" № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, **ე. ნ. შენგელაია** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, **გ. დ. მგელაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე, **დ. ე. სარიშვილი** — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ო. მოვსესიანი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, **ა. ნ. თავხელიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ა. კაჩმაზოვი.**

წინადადებებით და განცხადებებით გამოვიდნენ დეპუტატები **ლ. ლ. ღოღობერიძე** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, **ო. დ. კალანდარიშვილი** — „თბილისქალაქპროექტის" ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი, საკავშირო საპატენტო ცენტრის საქართველოს ფილიალის დირექტორი **თ. პ. სალია.**

მომკითხველი საუბრის დროს ორატორებმა აღნიშნეს, რომ ეკონომიკაში დაგროვილი პრობლემები მართვის სისტემის მრავალსაფეხურიანობის, მუშაობაში დუბლირების შედეგია, რომელსაც ხშირად მოჰყვება საწარმოთა წვრილმანი მეურვეობა, რომელიც ბოჭავს შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს ინიციატივას. მათ გამოთქვეს ერთიანი აზრი, რომ ჯერ კიდევ ნელა უმჯობესდება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები, გაბერილია რესპუბლიკური ორგანოების შტატები, გართულებულია მათი სტრუქტურა. ამის შედეგად კი მრავალი რგოლი არ მუშაობს ეფექტიანად, ვერ ახდენს საჭირო ზემოქმედებას საქმის ვითარებაზე.

სახავდნენ რა რადიკალური ცვლილებების გზებს, დეპუტატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითი კოლექტივების ინიციატივის ყოველნაირ განვითარებას და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დემოკრატიზაციას, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის რეალურ გაფართოებას, მათს გადაყვანას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე. გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი მართვის ყველა ორგანოს საქმიანობის რადიკალური გაუმჯობესების, მუშაობის მინდობილი უბნისათვის კადრების პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მართვის აპარატის გამარტივებასა და გაიაფებას, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ძალისხმევის კონცენტრაციას.

განსაკუთრებული ზრუნვის სფერო უნდა იყოს მართვის სისტემის ორგანიზაციულ გარდაქმნასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა სრული და დროული შრომითი მოწყობის და პროფესიული გადამზადების საკითხები. ამოცანა ის არის, რომ მთლიანად უზრუნველვყოთ კვალიფიციური კადრებით ძირითადი რგოლი — სამრეწველო საწარმოები, გამოთავისუფლებულ მუშაკებს შევასწავლოთ ახალი პროფესიები გარდაქმნით განსაზღვრულ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა **ო. ე. ჩერქეზიამ.**

განხილულ საკითხზე სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ **ვ. ა. კვარაცხელიას** მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხთა მუდმივი კომისია, აირჩია მისი წევრები 17 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **დ. გ. სტურუა** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

სესიაზე შეიტანეს ზოგიერთი ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში.

შეკითხვის წესით აღძრულ საკითხზე, რომელიც სესიის სახელზე შემოიტანა ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ იმის შესახებ, თუ როდის შესრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ახალქალაქში საავადმყოფოს და სანეპიდსადგურის მშენებლობის შესახებ, უპასუხა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დეპუტატმა **ი. ა. მენაღარიშვილმა.**

შეკითხვის წესით აღძრულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

საჯაროობისა და დემოკრატიზმის გაფართოების მიზნით გადაწყვიტეს ამიერიდან სესიებზე განიხილონ საკითხი ყოველი მომდევნო სესიის დღის წესრიგის შესახებ. მორიგ, მეცხრე სესიაზე ნავარაუდევია განიხილონ შემდეგი ძირითადი საკითხები: ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში გარდაქმნის განხორციელებისათვის; პროექტი საქართველოს სსრ კანონისა „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაოსახალხო განხილვის შესახებ".

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ მუშაობა დაამთავრა (საქინფორმი).

სესიის სხდომათა დარბაზში.



შ. კრიმსკის („კომუნისტი") ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

დეპუტატ ვ. ბ. ბლაჟიევსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვიქტორ ბორისის ძე ბლაჟიევსკი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 2 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

დეპუტატ გ. ა. ზგერსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი გენადი ანატოლის ძე ზგერსკი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 2 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 2 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტის შესახებ", საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკაში გაშლილია აქტიური მუშაობა სახალხო მეურნეობის გაძღოლის რადიკალური რეფორმის განსახორციელებლად, რომელიც მართვის ორგანოების საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს.

ხორციელდება ფართო მასშტაბური ღონისძიებანი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის ეკონომიკის ყველა დარგის მოსამზადებლად, გათვალისწინებულია მათი ჩატარება მართვის დარგობრივი შტაბების — სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, ცენტრალური დაწესებულებების დონეზე. ყველა ღონისძიება მიზნად ისახავს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ" სსრ კავშირის კანონში ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზაციას.

მართვის მთლიანმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის სოციალური სფეროს განვითარების რეალური დაჩქარება, დინამიზმი, ხელი შეუწყოს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდების უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით გადაჭრით შეცვლას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს ძირითადად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის გარდაქმნის მიმართულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ" სსრ კავშირის კანონის პრაქტიკულ რეალიზაციას და ამ საფუძველზე ახალი სამეურნეო მექანიზმის საყოველთაოდ დანერგვის, მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლისათვის საჭირო პირობების შექმნას.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის საბოლოო დამუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დასახულ ღონისძიებათა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით უზრუნველყონ მათი თანამიმდევრული და განუხრელი განხორციელება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითი კოლექტივების ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებასა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დემოკრატიზაციას, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის რეალურ გაფართოებას, მათს გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

— მიაღწიოს მართვის ყველა რგოლის საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესებას, აამაღლოს კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობისათვის, ამასთან გაამარტივოს და გააიაფოს მართვის აპარატი, წარმართოს მთელი მუშაობა მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად — რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად;

— წარუდგინოს დადგენილი წესით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად წინადადებანი საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების და უწყებების რეორგანიზაციის, შექმნისა და გაუქმების შესახებ და რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების თაობაზე, ხოლო საკავშირო ორგანოებს — სათანადო წინადადებანი მათ მიერ გადასაწყვეტ საკითხებზე;

— შეიმუშაოს და შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადებანი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" კანონსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

5. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა შეიმუშაონ ღონისძიებანი მართვის სისტემის ორგანიზაციულ გარდაქმნასთან დაკავშირებით გამონთავისუფლებულ მუშაკთა სრული და დროული შრომითი მოწყობისათვის, ამასთან, უწინარეს ყოვლისა, გაითვალისწინონ კვალიფიციური კადრებით ძირითადი რგოლის — სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების უზრუნველყოფა, აგრეთვე სამუშაოდ მიზიდვა რეგიონებში შესაქმნელ კოოპერატივებში. საჭიროების კვალობაზე უზრუნველყონ გამონთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადება და მათთვის ახალი პროფესიების სწავლება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა შესაბამისად.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების მორიგი სესიების განსახილველად შეიტანონ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მართვის გარდაქმნასა და რადიკალური რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, შეიმუშაონ და განახორციელონ კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში, სახალხო მეურნეობის მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას; უნარიანად გამოიყენონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისათვის მინიჭებული გაზრდილი უფლებები მათს ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვისათვის; გააძლიერონ მუშაობა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა და საზოგადოებრივ მეურნეობათათვის ეფექტიანი საქმიანობის პირობების შესაქმნელად;

— დააჩქარონ მზადება ახალ პირობებში მუშაობისათვის, გამოარკვიონ მისი ეფექტიანობის შემცირების მიზეზები, მიიღონ ქმედითი ზომები მათ აღმოსაფხვრელად, უზრუნველყონ გადასვლა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე იმ ვარაუდით, რომ ეკონომიკურმა ბერკეტებმა განაპირობონ შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გაზრდა, მაღალი სამომხმარებლო თვისებების პროდუქციის გამოშვება მინიმალური დანახარჯებით, საწარმოთა, საზოგადოებრივ მეურნეობათა რიტმული, რენტაბელური მუშაობა;

უზრუნველყონ მაღალი ორგანიზებულობა, შეგნებული დისციპლინა, დემოკრატიზმის გაღრმავება, ფართო საჯაროობა; მჭიდრო ურთიერთობა იქონიონ მოსახლეობასთან ადგილებზე, ძირითადი ყურადღება დაუთმონ სოციალური ამოცანების, საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებული საკითხების გადაწყვეტას;

— განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ბერკეტისა და საშუალების გამოსაყენებლად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სასურსათო ბაზის განმტკიცება-გაფართოებისათვის, უფრო მეტად გამოიყენონ პირადი საკარმიდამო ნაკვეთების, მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) და საწარმოების დამხმარე მეურნეობათა შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გასაზრდელად, უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება და მომსახურების სფეროს გაფართოება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 2 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისია 17 კაცის შემადგენლობით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

სტურუა დევი გიორგის ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ვისარევის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

ავიძბა ზაურ ხაკის ძე — დეპუტატი ქ. სოხუმის ლაკობას საარჩევნო ოლქისაგან;

ბაძგარაძე ენიზა შოთას ასული — დეპუტატი ქ. ქუთაისის ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქისაგან;

გაშიბაიაზოვა თენერიდა სოკრატის ასული — დეპუტატი წალკის რაიონის ბეშთაშენის საარჩევნო ოლქისაგან;

დავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე — დეპუტატი ოჩამჩირის რაიონის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან;

დიხტიარი ანატოლი დიმიტრის ძე — დეპუტატი ქ. თბილისის რუსთაველის საარჩევნო ოლქისაგან;

ჟვანია არნოლდ ვახტანგის ძე — დეპუტატი ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს საარჩევნო ოლქისაგან;

ლორთქიფანიძე გრიგოლ დავითის ძე — დეპუტატი ახმეტის რაიონის ახმეტის საარჩევნო ოლქისაგან;

მალვი მაიმა ვიქტორის ასული — დეპუტატი ქ. გაგრის ბალნარის საარჩევნო ოლქისაგან;

მამრაში ნოდარ დავრიშის ძე — დეპუტატი ქ. თბილისის 5 დეკემბრის საარჩევნო ოლქისაგან;

მიხაილოვი ალექსანდრე სერაფიმის ძე — დეპუტატი აბაშის რაიონის ძველი აბაშის საარჩევნო ოლქისაგან;

ნანიევი პავლე ალექსანდრეს ძე — დეპუტატი ჯავის რაიონის კვაისის საარჩევნო ოლქისაგან;

სირაძე ნარგიზა ემინის ასული — დეპუტატი ხულოს რაიონის დიოკნისის საარჩევნო ოლქისაგან;

ფრანგიშვილი ივერი ვარლამის ძე — დეპუტატი ქ. თბილისის მარქსის საარჩევნო ოლქისაგან;

ციციშვილი გიორგი შალვას ძე — დეპუტატი ზნაურის რაიონის ზნაურის საარჩევნო ოლქისაგან;

ხოცანიანი ციალა აიკაზის ასული — დეპუტატი ბოგდანოვკის რაიონის ჯიგრაშენის საარჩევნო ოლქისაგან;

ჯაფარიძე თეიმურაზ მამედის ძე — დეპუტატი ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 2 აპრილი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

პარტიის მიერ წამოყენებულმა დაჩქარების კონცეფციამ, მშრომელთა სოციალური ინტერესების ამაღლებამ მოითხოვეს სამეურნეო მექანიზმის შესაბამისი გარდაქმნა, მისი ზუსტი ორიენტაცია დემოკრატიულ საწყისებზე, რამაც ხორცი შეისხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) თაობაზე მიღებულ კანონში. ეკონომიკური მართვის ასეთი ძირეული რეფორმა ობიექტურ აუცილებლობად იქცა.

ეს რეფორმა ძირითადად განპირობებულია ახალი ამოცანების მასშტაბურობით, რომლებიც ეკონომიკის მართვის სტილისა და მეთოდების მოძველებული არსენალის პროკრუსტეს სარეცელზე ვერ თავსდებიან.

ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორც იცით, ბევრად განსაზღვრავს სამეურნეო სისტემების ხელმძღვანელობისა და ფუნქციონირების საბოლოო შედეგებს. სწორედ ამიტომ, როგორც ეს ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, როცა სამეურნეო მექანიზმს ვცვლით და მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადავდივართ, საფუძვლი- [illegible]

[illegible] წინააღმდეგოდ მოქმედებენ, ზარალის დაფარვას კი სახელმწიფო ჯიბიდან მოითხოვენ.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ მართვის არსებული სისტემის მრავალსაფეხურიანობა და მოუქნელობა, სამინისტროებისა და უწყებების უზომოდ გაბერილი აპარატი ადმინისტრირების, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, [illegible]

[illegible]

საწარმოო გაერთიანებათა ბაზაზე განზრახულია შეიქმნას მართვის ერთიანი ორგანო — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება.

მიზანშეწონილობა დაედო საფუძვლად იმასაც, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტთა სამმართველოს ნაცვლად შეიქმნება რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი".

სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ამჟამად არსებული მთავარი სამმართველოსა და უცხოეთის ტურიზმის თბილისის გაერთიანების საფუძველზე შეიქმნას [illegible]

[illegible] რესპუბლიკაში უქმდება ბევრი, თუმცა ბიუროკრატიული, მაგრამ წლობით მოგვარებული მართვის რგოლი. ეს კი ნიშნავს, რომ განუზომლად იზრდება ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა.

არსებითად სწორედ ახლა, გარდაქმნის მეორე ეტაპზე ყალიბდება ყველა საჭირო პირობა საბჭოების დამოუკიდებლობის, აქტიურობისა და ინიციატივის ზრდისათვის. რაიონული დაქვემდებარების სახალხო დეპუტატთა 43 საქალაქო საბჭოსა და ხელისუფლების 17 სადაბო ორგანოს ლიკვიდაცია, რომელსაც განსახილველი სქემის პროექტი სახავს, არავის ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან ეს ღონისძიება გამორიცხავს საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობაში არსებულ მრავალი წლის პარალელიზმს. [illegible]

[illegible] ნეო კომპლექსის ყველა უბანზე, საკმარისად არის ვაკანტური ადგილები. იქ სპეციალისტთა ნაკლებობას განიცდიან, მათი გამოცდილება და პრაქტიკა სჭირდებათ. ასე რომ რესპუბლიკაში ყველა შესაძლებლობა გვაქვს რაციონალურად შევავსოთ ეს ვაკუუმი მაღალკვალიფიციური კადრებით, ამასთან დავიცვათ მორალური და მატერიალური სტიმულირების ყველა მოთხოვნა.

ეს მოთხოვნები გარანტირებულია ღონისძიებათა კომპლექსით, რაც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობისა და პროფსაბჭოს დადგენილებათა შესაბამისად. ღონისძიებებით, კერძოდ, გათვალისწინებულია მინი- [illegible]

[illegible] თვის.

შარშანდელ დეკემბერში „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ედუარდ ბელტოვის წერილი „ბრალს თან სდევს ტკივილი". აი რა წერია იქ: „ოცდაათიან წლებში ლიტერატურას ისეთი ლახვარი ჩასცეს, რომ დღემდე ვერ გასწორებულა წელში. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ მომიწევს — საკმარისია ხელი გავიწვდინო ჩემი კარტოთეკისაკენ, რომელსაც მრავალი წელია ვავსებ: აქ ხუთასზე მეტი საბჭოთა ლიტერატორის გვარია, რომლებიც რეპრესირებული, სიკვდილის შემდეგ კი რეაბილიტირებული იყვნენ. დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს სრული ციფრია" („ლიტერატურნაია გაზეტა". 1987, № 512).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ „კარტოთეკაში" ქართველი მწერლებიც იქნებიან. სხვა დარგის წარმომადგენლებს სხვა აღნუსხავს, უეჭველია, და სხვებთან ერთად ხელოვნების, ტექნიკური ინტელიგენციის, გლეხობის, შინაგან საქმეთა სამსახურის უდანაშაულოდ დასჯილ ქართველ მუშაკებსაც მოიხსენიებს. „არავინ და არაფერი არ იქნება დავიწყებული".

ხსენებულ წერილში ბელტოვი ჩივის: ენციკლოპედიებითა და ცნობარებითაც კი ვერ დავადგინე რეპრესირებულ მწერალთა გარდაცვალების ზუსტი თარიღებიო. ზოგიერთი მწერლის სამი, ერთი მწერლის გარდაცვალების ოთხი (1937, 1938, 1939, 1944) თარიღია დასახელებულიო.

ჩვენთან უკეთესი მდგომარეობაა. ახლახან გასრულებულ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში რეპრესირებულ მწერალთა დაბადება-გარდაცვალების თარიღი სტატიის დასაწყისშივე ფრჩხილებშია მოქცეული. შემდეგ მოდის: დაიბადა, ისწავლა, იმსახურა, დაწერა, მთავრობისა და ხალხის სიყვარული დაიმსახურა... და გაქრა ალბათ... გარდაცვალებაზე აღარაფერია ნათქვამი. მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილია სხვებისაგან რამდენადმე გამორჩეული: „...შე-

ზოგჯერ თქმა სჯობს...

...არაფერი მეშლება, ჩვენი პარტიის დღევანდელი კურსი, სწორზე უსწორესი მიმართულება.

არ გვინდა, რა საჭიროა, ეს ხომ უკვე ისტორიაა, გვესმის დღენიადაგ. უფრო მეტიც: რაც მოხდა უნდა მომხდარიყო, საჭირო იყო, სხვანაირად არ შეიძლებოდაო. კი-...

...ერი თუ ერთეული ვეგონეთ. სწორედ ამის გამო, დიდი ენერგია შევალიეთ, დიდი დრო დავხარჯეთ (ლიტერატურით, ტელევიზიით, მხატვრული კინოთი) იმის მტკიცებაში, რომ ომში ჩვენც გავყავდით, ჩვენც ვიბრძოდით და ვიხოცებოდით. ახლა რატომ ვდუმვართ, ნუთუ აღარა-...

...ზმში", მაშინ, როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი არა მარტო „სოციალ-ნაციონალისტი", არამედ უხეში ველიკორუსი დერჟიმორდაც". რატომ უჭერდა და როგორ (მთლიანად თუ ნაწილობრივ) ეგრეთ წოდებულ „მდივნის ჯგუფს" ლენინი მხარს?.. ვინ იყო ყბადაღებული „სოციალ-ნაციონა-...

...დურება არ დაგვეტყდომია, არავისზე ნაკლებ არ დავმცრობილვართ ფიზიკურად, სულიერად.

უნდა ითქვას. უთქმელობას მძიმე შედეგი მოჰყვება. უადგილო თავის მართლება კი დამნაშავის როლში ჩაგვაყენებს.

რეზო ჭეიშვილი.

რეცენზია

წიგნი ახალგაზრდობის აღზრდაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა პარტიისა და ხალხის გულისყური მიაპყრო გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს საკითხს, გააანალიზა საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და დასახა ამოცანები მისი განხორციელების საქმეში. ამხ. მ. გორბაჩოვმა პლენუმზე თავის სიტყვაში განსაზღვრა „რევოლუციურ გარდაქმნას — განახლების იდეოლოგია", რომელიც გარდაქმნის ახალი ეტაპის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პროგრამას წარმოადგენს: „რა პოზიციებიდანაც უნდა ვუდგებოდეთ ჩვენი ეკონომიკის, კულტურის, სოციალური და სულიერი ცხოვრების განვითარების გზების განსაზღვრას. გადამწყვეტი ფაქტორი კვლავ იქნება ადამიანი. მისი პოლიტიკური და ინტელექტუალური სახე, მისი ოსტატობა, მისი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. მისი შემოქმედების უნარი. მისი მოქალაქეობრივი პოზიცია და აქტიურობა".

ამ ისტორიულ საქმეს ემსახურება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. მაქაცარიას წიგნი „პიროვნების აღზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი პრობლემები", რომელიც ახლახან გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ; მასში შემდგომი დამუშავება ჰპოვა ავტორის ადრინდელ წიგნებში განხილულმა პრობლემამ — „სტუდენტი, მორალი, კულტურა" სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

ნაშრომში განსაზღვრულია თანამედროვე ახალგაზრდობის თავისებურებანი, ახალგაზრდობის პრობლემებისადმი მიდგომის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები. განხილულია ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა სტუდენტთა პიროვნების ტიპოლოგიზაციის საკითხზე. ავტორი წარმოგვიდგენს ორიგინალურ მეცნიერულ ტიპოლოგიზაციას, გამოყოფს სტუდენტების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს და მათგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ისეთებს, როგორიცაა ინტერესთა მიმართულება, მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი პოზიცია ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, აქტიურობის დონე, კოლექტივიზმის, კულტურის დონე და სხვა.

გარდაქმნის პერიოდში უაღრესად აქტუალური გახდა ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურის ამაღლების საკითხი. წიგნში ეს პრობლემა განხილულია მომავალ სპეციალისტთა მსოფლმხედველობრივი აღზრდის საკითხთან ორგანულ კავშირში.

წიგნში გაშუქებულია ახალგაზრდობის მსოფლმხედველობრივი აღზრდის საკითხიც. აქ საუბარია მსოფლმხედველობის ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ და სოციოლოგიურ ასპექტებზე, დახასიათებულია სოციალური პოზიცია მსოფლმხედველობრივი აღზრდის პროცესში.

ჩვენს დროში გაიზარდა ზნეობრივი საწყისის როლი. ზნეობრივი აღზრდის ცენტრალური ამოცანაა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ავტორი განსაზღვრავს ზნეობრივი აღზრდის ამოცანებს. უმაღლესი სკოლების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების განზოგადების საფუძველზე წიგნში ნაჩვენებია დადებითი და ნეგატიური მხარეები ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, მოცემულია რეკომენდაციები არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემა „სრულიად ახლებურად დაისვა" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე. ამავე დროს იგი იმ აზრსაც გამოთქვამს, თითქოს „ახლანდელ ეტაპზე" კომუნისტური აღზრდის თეორიის ახალ საფეხურს წარმოადგენს „განვითარებული სოციალიზმის" კონცეფცია, თეორია და პრაქტიკა, რომელსაც სინამდვილეში მოჰყვა მოდუნება განათლებისა და აღზრდის დარგშიც.

სარეცენზიო წიგნი დახმარებას გაუწევს კომუნისტური აღზრდის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს.

ლეო გორგილაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მწერალი ჯემალ ჯაყელი არის მრავალი პოეტური და პროზაული წიგნის ავტორი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზე. ბოლოხანს „საბჭოთა აჭარამ" გამოსცა რომანი „ალმართი მარადიული მშვენიერებისა", რომელიც ეძღვნება ახალგაზრდობის თემას. წელს იგივე გამომცემლობა გამოსცემს პოეტურ კრებულს „მზისა და წვიმის ხერენადა".

ქვემოთ ვბეჭდავთ ლექსებს პოეტის მომავალი წიგნიდან.

ჯემალ ჯაყელი

თბილისის დროით

მერიდიანებს დავეზიარე
ზღვებით, ხმელეთით, ცისფერი
ქროლვით,
მაგრამ გულდაგულ სადაც ვიარე,
ყველგან ვიარე თბილისის
დროით.
თბილისის დროით სიმაღლე
გზისა
გავითავისე ახლოს თუ შორით.
გელათზე ფეთქავს საათი მზისა
უნეტარესი თბილისის დროით.
თბილისის დროით გავჭერ
ვარძია
და აღვაზევე სვეტიცხოველი.
რაიც მონაგარს დაუგანძია,
არის მირონის წვეთი ყოველი.
თბილისის დროით ვაწრთნე
სახნისი,
გადავიხადე ომი მრავალი,
თბილისის დროით მტკივა
კრწანისი,
დიდი წარსული და მომავალი.
როგორც სინათლე უწმინდეს
ფერთა,
მოცხუნებული ახლოს თუ
შორით,
დიდი სამრეკლო მოძმეთა ერთა
ვაშენე ჩემი თბილისის დროით.
თბილისის დროით მწვანე
კორდები
ახასხასდება ზურმუხტის
წნორით.
სადაც ინებო, დაგელოდები,
დაგელოდები თბილისის დროით!

* * *

შემომიბრუნე იმედები
გაზაფხულისა
და ზამთრის ქარებს გააყოლე
თვისი სახელი.
მწვერვალისაკენ საგანგებო
განზრახულისად
მწვანე ბილიკი გადმომიგდე,
როგორც საბელი.
მე ამ ბილიკით ამოვუვლი
ჯავრიან ლოდებს,
ახირებული დასცხრებიან შავი
შუნები.
განმადიდებს და მომაკრძალებს
ნანატრი ოდეს
სიდიადე და მოკრძალება
დედა-ბუნების.
შემომიბრუნე იმედები —
გამმა სულისა —
რწმენა ქარების,
ავქარების,
არდაბრუნების,
შენს მწვერვალებზე გამითენე
გაზაფხულის ცა
და საოცრება იდუმალი
დედა-ბუნების!

მამედ-ჰუსეინ ბახთიარ

ძმობის ჰიმნი

ოდითგანვე ერთად ვიმკეთ
პური ჩვენი არსობისა;
ჩვენ გზა გვიდევს უფრო
იქეთ, —
ველტვით ძმობის დიად მიზანს.

ჩვენ ოქტომბრის დიდ მზის
შობას
ერთად შევხვდით უკვე ძმები;
ვქმნით, ვასრულებთ ჩვენს
ერთობას
დიდ ქურაში გამობრძმედილს.

ულრუბლო ცა — სულის სარკე,...
მზეებს ხატავს ნიჭი ჩვენი...
იმთავითვე ძმობისაკენ
მოვუხმივართ უკვდავ ლენინს.

საქართველო, ჰაიასტანი,
ჩემო ხალხო, ჩემო ღმერთო,
დე, ეს სამი ჩირაღდანი
მარად ასე ერთად ენთოს.

ჰეი გარდაშ, ჩვენს სიმღერებს
გავაჟღერებთ მუზის რაშთან...
ჩვენ ძმები ვართ,
„ესპორნერექ" [1],
„ბიზ გარდაშიქ ეზელ ბაშდან" [2].
ძმობის ჰიმნი უფრო გვანთებს,
დიდ შუქს ვაფრქვევთ ასე
ერთად;
ჩვენ პარტია სიბრძნეს გვმატებს,
ჩვენ — მომავლის მშენებელთა.

[1] სომხურად: ძმები.

[2] აზერბაიჯანულად: „ჩვენ დიდი ხნის ძმები ვართ".

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
იმირ მამედოვამ.

ლეილა ერაძე

აპრილმა იცის

აპრილმა იცის
საოცარი გახსივოსნება,
აპრილში ხდება
სანუკვარი ყველა ოცნება.
აპრილის ცაზე
სულ სხვაგვარი
სილაჟვარდეა,
აპრილი ჰკურნავს
კაეშნიანს,
ბედკრულს,
დარდიანს.

აპრილის ცაზე
ლაღად ბრწყინავს
ჩახჩახა მზე და,
აპრილში გიყვარს
შენიანი ყველაზე მეტად.
აპრილში გესმის
საოცარი ჭექა-ქუხილი,
აპრილმა იცის
დავიწყება
ყველა წუხილის.
ნეტავი აპრილს

ამოდენა ძალა ვინ მისცა!
აპრილმა იცის
დაბადება
უცნაურ ყრმისა.
და მერე ეს ყრმა
ხალხს ცხოვრებას
გააპრილებს!
ხალხი მიჰყვება და
ენდობა
მის დანაპირებს.
ნეტავი აპრილს!..

ლეონიდ ხარებათი

ჩემი ხასიათი

არა,
არა ვარ კალმით ნახატი,
ენაც და ლექსიც არა მაქვს ნაზი,
მაგრამ ჩემს ბეღელს თავი ახადე,
არის ყელამდე ბარაქით სავსე.

მე სიყვარულშიც უხეში ვრჩები,
სიტყვა აბრეშუმს ვერ დავამსგავსე,
მაგრამ ლამაზი —
ოცნება ჩემი —
არ მიღალატებს ცხოვრების გზაზე.

მხოლოდ ჯაფით მაქვს,
რაიმე თუ მაქვს,
გროშიც არა მაქვს გადანახული,

მაინც ვმასპინძლობ შემოსულ სტუმარს —
კეთილი გულით,
ყველით და პურით.

არა,
არა მყავს ოქროს ჩიტები,
ვერ ავუშენებ სახლებს მეგობარს,
მაგრამ თუ რამე გაუჭირდება,
გვერდით დავუდგე — ესეც მეყოფა.

ვდარდობ? —
მაწუხებს დარდი ნამდვილი,
რაც მაბადია, იმითი ვხარობ,
შრომა ცხოვრების გზას მიადვილებს,
იგია ჩემი სიცოცხლის წყარო.

ოსურიდან თარგმნა ა. ბურბენიძემ.

დანიელ ხახიაშვილი

სიზმარში საქართველო ვნახე

დანიელ ხახიაშვილი ეროვნებით ქართველი ებრაელია. ცხოვრობს და მუშაობს ონში. მისი ლექსები ხშირად იბეჭდება ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

ამჟამად გამომცემლობა „მერანი" სცემს დ. ხახიაშვილის ლექსების კრებულს. ვთავაზობთ მკითხველს ერთ ლექსს ამ კრებულიდან.

წუხელ სიზმარში საქართველო
ვნახე,
წუხელის რაჭაში ვიყავი
თითქოს,
— ვაიმე, — ვისაც კი დავუძახე,
ხმა არავინ გამცა და ვერვინ
მიცნო.

ხმამაღლა ვეძახდი ჩემს
სიჭაბუკეს,
არავინ ისმენდა ჩემს
გულწრფელ ძახილს,
მერცხალს დანგრეოდა ერდოზე
ბუდე,
ხარივით ბღაოდა ჩემი ხის
სახლი.
ჭიშკარს მივაწექი და ველარ
გავაღე,
უნდობლად მიცქერდა ეზო,
ცრემლი მორეოდა სისხლისფერ
ვარდებს,
ასე უბრალოდ და უმიზეზოდ.

სიცხისგან ენა მიხმებოდა,
ეზოში მღეროდა წყარო,
გოგონა გამოვიდა — ჭიქა
მომაწოდა,
მიირთვიო, უცნობო მგზავრო!
ჭიქაში ლაჟვარდი ცეკვავდა
ლურჯი,
შუბლს ხსნიდა ამაყი შოდა,
სურათი თუ გაცოცხლდა,
ვფიქრობდი გულში,
(შოდის სურათი უბეში
მქონდა).
რიონი „რაშოვდას" მღეროდა
ისევ,
და მზე უკოცნიდა ფაფარს,
ჭიშკარ დაკეტილ ეზოსთან
ვიდექ,
დუმილით გავცქეროდი
მთა-ბარს.

რა ახლოს იყო ჩემი ნააკვნარი,
ჩემი სიყვარული და ტკბილი
ნანა,
რატომ არ იღება ჩემი სახლის
კარი —
ნუთუ ველარ მიცნეს განა?
ნუთუ ისრაელმა ცრემლი რომ
მადინა,
არ კმარა თვალებს რომ
გამკრა ბინდი,
—შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, ჩემო
საქართველოვ,
სიზმრად ერთი წუთით მაინც
შემირიგდი.

ისევ შემირიგდი, —თქვენიანი
მრქვია
ხმამაღლა გავძახე სახლსა და
მინდორს,
მაგრამ ეს ძახილი არავის
შეუტყვია,
ხმა არავინ გამცა და ვერავინ
მიცნო.
მერე ავტირდი და თავში
წავიშინე,
სულ ჩამოვიხოკე სახე,
ასე მე ბევრჯერ დავიძინე და
სიზმარში საქართველო ვნახე.

ჭაშნიკი

გზა მშვიდობისა

ხშირად მეკითხებიან: ვინ მოდის, სად არიან? რა მოაქვთ? რა სამკვიდრებელი აქვთ? რა ზრახვა და რა სიყვარული? მე კიდევ ჩემს თავს ვეკითხები: მართლა სად არიან ისინი, თვრამეტიანი, ოციანი, ოცდაერთიანი? ვითომ წინა თაობებმა ამოსწურეს ყველაფერი? არადა რამდენი საგანიცაა იმდენივე თვალია, იმდენივე ხედვა და იმდენივე ლტოლვა შეუცნობელისაკენ...

„რამეთუ სთქვას გულსა შინა თვისსა". სთქვა, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გაიგოს?

თითქოს, დავკარგეთ ერთმანეთი, ხომ არ გაწყდა ის უხილავი ძაფი, რომელიც ერთმანეთთან გვაკავშირებდა?...

ხომ არ გავაცივეთ მზრუნველი და თბილი ხელი? ამ სიტყვებს ერთგვარი შიშითაც ვწერ და აქვე დავსძენ, რომ უპირველეს ყოვლისა ჩემს თავს ვადანაშაულებ...

ახალგაზრდა კაცის სამკვიდრებელი მოგეხსენებათ, არაა მტკიცე, ჩვენმა შეძახილმა და ხელდასხმამ უნდა განამტკიცოს იგი. არ ვეძებთ ისე, როგორც საჭიროა...

ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა ჩემთან სახლში, ლექსები მომიტანა, გამეცნო თემურ ცერცვაძე ვარო.

ვისაუბრეთ, როგორც გაირკვა ამ ახალგაზრდა კაცს უკვე აქვს თავისი ბიოგრაფია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია, დაუსწრებლად სწავლობს, თან მუშაობს, ჯარმოვლილია, მომეჩვენა რომ ლექსებშიც თავისი სათქმელი აქვს, რაღაც სტკივა, რაღაც უხარია...

მოკლედ, რომ ვსთქვა მისმა ხვალინდელმა დღემ დამაფიქრა — წვიმის წვეთიც ცრემლივით ბრწყინავს, მაგრამ დანახვა უნდა...

გამახსენდა, ამ სამი თვის წინათ, „კომუნისტის" რედაქციაში მთხოვეს, თუ ვინმე ღირსეული ახალგაზრდა პოეტი გამოჩნდეს, ჩვენი გაზეთი მზადაა სამსახურისთვისო, ამიტომაც გადავწყვიტე ლექსები „კომუნისტში" მიმეტანა და გზა დამელოცნა ახალგაზრდა კაცისათვის.

მშვიდობით მოხველ და მშვიდობით გევლოს, მაგრამ ერთი კი იცოდე: გზა აღთქმულ ქვეყნამდე უდაბნოზე გადის.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

თემურ ცერცვაძე

ციკლიდან

„მარადიული ლტოლვა"

ცამდე მართალი არც მე ვარ შენთან,
იქნებ ეს გრძნობაც ბავშვის ჟინია,
მაინც არ მინდა გხედავდე შეკრთალს,
მაინც ნურაფრის ნუ გეშინია.

შენს ძველ შეცდომებს არაფერს ვერჩი,
მზერას მივრილებს წლების მარაო,
ყველაზე წმინდა რაც არის ჩემში,
რატომ გავხადო სამასხარაო?!

თუ მომსვლელი ხარ, — მოდი და დარჩი
და წყენის კვალი კოცნით წაშალე,
როცა უშენოდ დავდივარ ხალხში,
ასე მგონია, ვარ დამნაშავე.

ვისი ნაკლიც მძულს...,

შორს სიმყუდროვის ფიფქები დნება
და მოლოდინი მიპყრობს ქარიშხლის,
თქვენ სიყვარულის მომეცით ნება,
თორემ სიძულვილს ვერვინ დამიშლის.

ხშირად ვედები ლობეს და ყორეს,
მსურს სათითაოდ ყველას გაგება,
მე თქვენს ტკივილებს განვიცდი, თორემ
თქვენს სიხარულთან რა მესაქმება?!

ეჭვით მიყურებთ და სიცილს მაყრით,
რად ვერ პოულობ ვერსად შვებასო,
თავს არ ვიმართლებ, მძულს თქვენი ნაკლი,
რომ არცერთ თქვენგანს არ დავემსგავსო.

დაბადების დღე

ერთ გაქროლებას მინდა მთელი სიცოცხლე მივცე
და გავეკიდო მზისკენ ჭრიჭინას,
შემართულია ჩახმახივით დუმილი წკიპზე,
რამეთუ სული კბილით მიჭირავს.

ისევ ყურს ვუგდებ ჩამოცვენილ ფოთლების
გლოვას,
ყურს ვუგდებ მსრბოლავ დღეთა მარათონს,
სალამი წვიმას!—მას, რომელიც ჩემს შემდეგ მოვა,
ფიქრებს, რომლებიც შემდეგ დამათოვს.

ყოველი დილა ისეთ უტკბესს განცდას მანიჭებს,
როგორც პირველი თოვლის დადება,
სალამი ყველას!—ვინც ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს
და ვინც ჩემს შემდეგ დაიბადება.

3 აპრილი გეოლოგის დღეა

მძიებმნ უჩინარ სიმდიდრეს

გეოლოგები აპრილში, გაზაფხულის ამ მშვენიერ თვეში იწყებენ თავიანთ ინტენსიურ საქმიანობას. საქართველოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა საწარმოო გაერთიანების მუშაკები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე რომ ეძიებენ სახარგებლო წიაღისეულს, ზრუნავენ ახლადმიკვლეული საბადოები ხალხის სამსახურში ჩააყენონ.

წლეულს ქართველი გეოლოგების ამოცანაა გამოავლინონ ნედლეულის ახალი ბაზები „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებისათვის, მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელონ არამადნეული და ფერადი ლითონების საბადოების დასაძიებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათ შარშან ძეგვი-თეძამის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ცეოლითების ახალი საბადო, რომელიც ხელს შეუწყობს სამთო-ქიმიური წარმოების შემდგომ განვითარებას.

სამუშაოთა ფართო კომპლექსი ხორციელდება ჰიდროგეოლოგიასა და საინჟინრო გეოლოგიაში, რესპუბლიკის ტერიტორიის რაციონალური გამოყენებისათვის. დაზვერილია მტკნარი მიწისქვეშა წყლის მრავალი საბადო და უბანი ქალაქებისა და სოფლების სამეურნეო სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგებისათვის.

სურათებზე: მცხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციის მბურღავები ნ. ვაშაკიძე, გ. ჩუბ[illegible] და მბურღავის თანაშემწე გ. მოდებაძე; ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიცია ფონიჭალის ტერიტორიაზე.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

უცხოეთში

სა[illegible] 2 აპრილი

◆ კუბა

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით

ჰავანა. სოციალისტურმა კუბამ საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით დაიწყო ბირთვულ გამოკვლევათა ცენტრის აგება. კუბის პირველ ატომურ ელექტროსადგურ „ხურაგუასთან" ერთად, რომელიც შენდება სიენფუეგოსის პროვინციაში, ეს ცენტრი ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი გახდება სამშვიდობო მიზნით ბირთვული ენერგიის გამოყენების ეროვნული პროგრამის ფარგლებში. მშენებლობის დაწყების ცერემონია გაიმართა გუშინ. უწინარეს ყოვლისა შენდება ცენტრი, რომელიც წარმოადგენს „ნულოვანი" სიმძლავრის ეგრეთ წოდებულ რეაქტორს, და უნდა გადაეცეს მეცნიერებს 1991 წელს. შემდეგ მშენებლები შეუდგებიან 10 მეგავატი სიმძლავრის საკვლევი რეაქტორის აგებას. ცენტრში შესრულდება ფუნდამენტური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, კერძოდ, ბირთვის ფიზიკის შესწავლა, განხორციელდება ექსპერიმენტები მედიცინისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის.

„ირან-კონტრასის" აფერა:

ამოტივტივდა ახალი ფაქტები

ვაშინგტონი. კონგრესის „ირან-კონტრასის" აფერის საგამოძიებო კომისიათა მიერ შეკრებილი ახლახან გამოქვეყნებული დოკუმენტების სამი ათასზე მეტ ფურცელს შორის აღმოჩნდა ამ სკანდალის ერთ-ერთი „გმირის" ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის მაშინდელი თანაშემწის ჯ. პოინდექსტერის ფართო საზოგადოებრიობისათვის მანამდე უცნობი სასამსახურო ბარათი. 1986 წლის 17 იანვრით დათარიღებულ ამ ბარათში აღნიშნულია, რომ იმ დღეს პრეზიდენტ რეიგანის განსახილველად სხვა საქმეთა შორის წარდგენილი იყო ირანისათვის ამერიკული იარაღის ფარული მიწოდების შესახებ დადგენილების პროექტი. ბარათში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი და კ. უაინბერგერი, რომელსაც იმ დროს თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა, „არ ეთანხმებოდნენ გეგმას". მიუხედავად ამისა, იმავე დღეს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დადგენილებას.

თითქოს აქ ახალი არაფერია. მაგრამ ამ ბარათმა დაუყოვნებლივ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. როგორც კონგრესის კომისიებმა დაადგინეს, იმ დღეს რეიგანთან ყველა საკითხის განხილვას ესწრებოდა ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში. სენსაციის არსი ის გახლავთ, რომ უკანასკნელ დრომდე ბუში დაბეჯითებით უარყოფდა, რომ არ იცოდა კონგრესის გვერდის ავლით ირანისათვის იარაღის მიწოდების ოპერაციის მომზადების ამბავი. ამავე დროს, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მაშინდელი აკრძალვის მიუხედავად, ამოგებული სახსრების ნაწილი ეგზავნებოდა კონტრასს. ბუში ამას წინათ გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიაშიც კი ამბობს, რომ მან ძალიან ცოტა რამ იცოდა მთელი ამ ოპერაციის შესახებ.

შრომა და კაპიტალი

უშედეგო მოლაპარაკება

ლონდონი. კვლავ შეფერხებულია საბორნო მიმოსვლა ინგლისის დუვრის ნავსადგურსა და ევროპის კონტინენტს შორის. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება შეიქმნა, როცა ათასობით ინგლისელმა, სააღდგომო დღესასწაულის დაწყებასთან დაკავშირებით კონტინენტს მიაშურა დასასვენებლად. ტურისტებით სავსე ასობით ავტომანქანა და ავტობუსი შეგროვდა ნავმისადგომებთან, რომლებიც ელოდებოდნენ თავიანთ რიგს ლამანშის გადასაკვეთად. მათმა უმრავლესობამ ვერ შეძლო ეს და იძულებული იყო ღამე გაეთია დუვრში. ახლა ბორნის ხაზებზე მოძრაობს მხოლოდ ხომალდთა მესამედი, რომლებიც ჩვეულებრივად ახორციელებენ რეისებს დუვრიდან საფრანგეთსა და ბელგიაში. პარასკევ საღამოს უშედეგოდ დამთავრდა საზღვაო კომპანიების ხელმძღვანელობისა და მეზღვაურთა პროფკავშირის წარმომადგენლის მოლაპარაკება. მეზღვაურები მოითხოვენ ხელფასის გადიდებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

კინოფესტივალი

პრიზი — ქართულ ფილმს

რომი. დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა კინემატოგრაფს საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც იტალიის ქალაქ სან-რემოში დამთავრდა. ჟიურის სპეციალური პრიზი მიენიჭა რეჟისორ ნოდარ მანაგაძის ფილმს „ეი, მაესტრო".

ფესტივალის დროს მის საპატიო სტუმარს — სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს რეჟისორ ელემ კლიმოვს გადაეცა მაღალი ჯილდო — ოქროს მედალი მსოფლიო კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის.

ვერსია

საიდუმლო გამოცნობილია?

ნიუ-იორკი. ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ კანინგემმა თავისი ვერსია წამოაყენა ძველ ეგვიპტელთა საიდუმლოს გამოსაცნობად, რომლებიც რთულ ტექნიკურ მოწყობილობათა გამოუყენებლად აშენებდნენ პირამიდებს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მეცნიერის მიერ განხორციელებული გამოკვლევა ცხადყოფს, რომ უზარმაზარი ქვის ლოდების ასაწევად ძველი ეგვიპტელი მშენებლებისათვის ძირითადი სამარჯვი ბამბუკის ჰოკები უნდა ყოფილიყო. მოქნილი და მაგარი ბამბუკის ჰოკი ისეთ ამწევ ძალას უზრუნველყოფს, რომლის მიღება შეუძლებელია ჩვეულებრივი ბერკეტების დახმარებით, ამტკიცებს მეცნიერი. მისი ვერსიით, უძველესი მშენებლები ქვის ბლოკს ამოუდებდნენ უამრავ გრძელ ჰოკს და მის თავისუფალ ბოლოებს მოღუნავდნენ ვერტიკალურ მდგომარეობამდე. გასწორებისას ჰოკები, როცა მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, უზრუნველყოფდნენ სასურველ შედეგს: ქვის ზუმბერაზი ადგილს ინაცვლებდა და ზემოთ აიწეოდა. კანინგემმა პრაქტიკულად დაამტკიცა ასეთი პრინციპის სისწორე: 12 წვრილი მუხის ჰოკის მეშვეობით ექსპერიმენტის დროს ასწია ტონაზე მეტი წონის ლოდი.

ახლო აღმოსავლეთი

შეიჭრნენ მეჩეთში

დამასკო. ორი ახალგაზრდა პალესტინელი დაიღუპა გუშინ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. ისრაელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც შეიჭრნენ ჰებრონის ახლოს მდებარე იდნის მეჩეთში, ცეცხლი გაუხსნეს რელიგიური ცერემონიის მონაწილეებს. 18 წლის [illegible] დაიღუპა გულში მიყენებული ჭრილობით, [illegible] ჰალილ თამიზის ცრემლსადენგაზიანი [illegible]. გარდა ამისა დასახიჩრდა კიდევ 13 [illegible] ტერიტორიებზე პარასკევს მოეწყო ახალი [illegible] დემონსტრაციები. მთელ რიგ შემთხვევებში ისრაელელებმა ცეცხლს უშენდნენ მანიფესტანტებს.

ფოტოფაქტი

მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

სურათზე: ისრაელი პოლიციელები უსწორდებიან პალესტინელ ქალს ალ-ამარის ლტოლვილთა ბანაკში გამართული დემონსტრაციის დროს.

აპ-საქდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა რეიგანმა ხელი მოაწერა შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს იმის შესახებ, რომ 17,7 მილიონი დოლარის ეგრეთ წოდებული „ჰუმანიტარული დახმარება" გაეწიოს ნიკარაგუელ კონტრრევოლუციონერებს.

◆ **პრაღა.** ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ მტკიცე პროტესტი განაცხადა ისრაელის ხელისუფალთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაახშოს პრესისა და ინფორმაციის თავისუფლება ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე და თვით ისრაელში.

◆ **ბონი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ტრადიციული საგაზაფხულო „მშვიდობის მარშები" დაიწყო კილში (შლეზვიგ-ჰოლშტეინის მხარე) გამართული ველოესტაფეტის სტარტით, რომლის პირველ ეტაპს ახორციელებენ „მშვიდობისათვის მებრძოლი სპორტსმენები" სამოქალაქო მშვიდობიანი ინიციატივის წარმომადგენლები. მათში მონაწილეობდა ათიათასობით კაცი.

— **ბატონო ვლადიმერ, თქვენ საბჭოთა და უცხოური ლიტერატურის სპეციალური ფონდებიდან ბიბლიოთეკების საერთო სარგებლობის ფონდებში გადაცემის საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებით. ვიცი, რომ ეს კომისია ამ ერთი წლის წინათ შეიქმნა. ცხადია, ყველას გვაინტერესებს, რა გაკეთდა ამ დროის მანძილზე. მაგრამ უწინარესად ის აგვიხსენით, თუ რა არის ასეთი სპეცფონდები, რა დანიშნულება აქვს?**

— ასე გიპასუხებთ: ისინი გათვალისწინებულია ისეთი ლიტერატურის შესანახად, რომელთა მიღება ამა თუ იმ მიზეზისა გამო შეზღუდულია. ასეთ ლიტერატურას უწინარეს ყოვლისა განეკუთვნება გამოცემანი, რომლებსაც აქვს გრიფი „საიდუმლოა", „სამსახურებრივი გამოყენებისათვის" და ა. შ. სხვათა შორის ამ ფონდებში უპირველესად შედის არა პოლიტიკური თუ მხატვრული ნაწარმოებები, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური გამოცემები, რომლებიც სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებას შეიცავს.

სპეციალური დაცვის ფონდებში შესულია დიდძალი უცხოური გამოცემანიც, რომლებიც იქ სხვადასხვა დროს გაიგზავნა პოლიტიკური მოტივებით. და ბოლოს, სპეცფონდებში არის ლიტერატურა, რომელიც, მე ვიტყოდი, განსაკუთრებით აინტერესებს საზოგადოებრიობას. ეს არის გამოცემები, რომლებიც სხვადასხვა წელს გამოსულა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და ასევე გარკვეული პოლიტიკური მოტივების გამო იმ წიგნების ნუსხაში მოხვედრილა, რომელთაც თავისუფლად მიღება არ შეიძლება.

პირდაპირ გეტყვით, რომ ეს უპირატესად ის წიგნებია, რომელთა ავტორები რეპრესირებული იყვნენ სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში, ან პერიოდული გამოცემები, რომლებსაც სხვა, ასე ვთქვათ, „დეფექტები" ჰქონდა: მასში შეიძლება ყოფილიყო რეპრესირებული პოლიტიკური მოღვაწეების მიერ დაწერილი წინასიტყვაობანი, მათი ფოტოსურათები, შრომებიდან მოყვანილი ციტატები და ა. შ. მაშინ ამგვარი მიზეზებისა გამო ყოვლად „უმანკო" წიგნებსაც კი კრძალავდნენ: ვთქვათ, დამხმარე სახელმძღვანელოს „სასვენ ნიშნებს" ან კრებულს „სასკოლო ესტრადას". საერთო ჯამში ამგვარი ლიტერატურა ძალზე ბევრი დაგროვდა — 60-იანი წლების დამდეგისათვის ასეთი ლიტერატურის მარტო ნუსხებიც კი ათობით ტომს შეადგენდა და ასიათასობით დასახელებას შეიცავდა.

სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს სპეცფონდების შექმნის მომენტიდან (თავისთავად კი მათი შექმნა სავსებით კანონზომიერია, ამგვარი ფონდები საზღვარგარეთაც აქვთ) „დახურული" ლიტერატურის ნუსხები არ გადასინჯულიყოს. დაახლოებით შუა სამოციანი წლებიდან შუა სამოცდაათიან წლებამდე საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა იმისათვის, რომ გამოცემანი სპეცფონდებიდან საერთო სარგებლობის ფონდებში გადაეცათ. მაშინ გახდა საყოველთაოდ მისაწვდომი ბევრი წიგნი ისეთი ავტორებისა, რომლებიც რეაბილიტებული იყვნენ პარტიის XX ყრილობის შემდეგ. მაგრამ უძრაობის ხანამ, როცა შეუძლებელი გახდა იმის გამოქვეყნება, რასაც დღეს თავისუფლად ვკითხულობთ, ეს მუშაობა შეაფერხა. ამიტომ კომისიის შექმნის მომენტისათვის „დახურულ" წიგნებს შორის ჯერ კიდევ იყო ექვსი ათასამდე დასახელების პოლიტიკური და მხატვრული წიგნი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში რუსულად და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გამოვიდა.

— **რა ამოცანები დაესახა კომისიას?**

— ისინი გამომდინარეობს პარტიის იმ კურსიდან, რომ განახლდეს საზოგადოება, გაფართოვდეს საჯაროობა და დემოკრატია. თუ დღეს განვლილი ათწლეულების მანძილზე დაგროვილი პრობლემების საჯარო განხილვაზე, ისტორიის „თეთრი ლაქების" ლიკვიდაციაზე, ჩვენი მიღწევებისა და შეცდომების ღრმა, ობიექტურ ანალიზზე ვლაპარაკობთ, თავისთავად იგულისხმება, რომ ამ პროცესების განვითარებას წიგნიც შეუწყობს ხელს.

— **უნებურად მაგონდება ერთი ლექსის სტრიქონი: „გავა დრო და ძველი წიგნი ახალ ცოდნას მოგვცემს...".**

— სწორედ ამიტომ მუშაობს ჩვენი კომისია, რომელიც პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებით შეიქმნა. მასში შევიდნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სახკომგამის და სსრ კავშირის მთავლიტის წარმომადგენლები. ამასთანავე ამგვარი კომისიები შეიქმნა რესპუბლიკებში, მხარეებში და ზოგიერთ ავტონომიურ ოლქში, სადაც სპეცფონდები აქვთ.

— **მაშ, ასე, წელი მიილია...**

— ამ წლის მანძილზე ექვსი ათასი წიგნიდან, რომლებზეც წეღან მოგახსენეთ, უკვე განხილულია ოთხი ათასამდე გამოცემა. აქედან დაახლოებით 3,5 ათასი უკვე დაუბრუნდა საერთო სარგებლობის ფონდებს. ეს მუშაობა საკმაოდ ინტენსიურად გრძელდება, იგი ხომ ნოემბერში უნდა დავამთავროთ.

იმისათვის, რომ ნიადაგი გამოვაცალოთ ორაზროვან განმარტებებს, იმასაც ვიტყვი, რომ გადასინჯულიდან ხუთასამდე წიგნი ჯერჯერობით სპეცფონდებში დავტოვეთ. ძირითადად ეს არის სამოქალაქო ომის დროინდელი წიგნები, რომლებიც გამოშვებულია იმ ტერიტორიებზე, სადაც დროებით თეთრგვარდიელები და ინტერვენტები პარპაშებდნენ. ეს არის პროვოკაციული ლიტერატურა: თეთრგვარდიული, ესერული, ნაციონალისტური... ალბათ გონივრული არ იქნებოდა ეს ნაჯღაბნი ყველასათვის მისაწვდომი გაგვეხადა, სამწუხაროდ, საზოგადოებაში ხომ არიან ელემენტები, რომლებიც ამას სრულიადაც არ გამოიყენებდნენ „შემეცნებითი" მიზნებით, მაგრამ იმასაც დავსძენ, რომ ჯერ კიდევ გადავხედავთ ამ წიგნებს, რადგან უფრო გულმოდგინე შესწავლას, „ღვარძლისა" და „ხორბლის" გარჩევას მოითხოვს. შეიძლება მათი ნაწილი შემდეგ საერთო ფონდებს გადავცეთ.

— **საბუთები, რომლებიც თქვენ მოიყვანეთ, სავსებით გასაგებია. ამასთანავე ამჟამად უკვე „ღია" წიგნების ნუსხაში არის კირენსკის, მილიუკოვის, ატამან კრასნოვის მემუარები, ბორის სავინკოვის წიგნები, დენიკინის „რუსეთის ამბოხების ისტორია"... ეს ავტორები ხომ საბჭოთა ხელისუფლების პირწავარდნილი მტრები არიან?**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველა ეს წიგნი 20-იან წლებში საბჭოთა გამომცემლობებმა გამოუშვეს. ამას, ჩემი აზრით, ერთი მიზეზი ჰქონდა: გამარჯვებული პროლეტარიატის პარტიას იმდენად სწამდა თავისი იდეების სიმართლე და ძალა, რომ არ ეშინოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა კონტრარგუმენტებისა, რომლებიც მათ გამოცემებში მოჰყავდათ. მაშ, რატომ უნდა „დავმალოთ" ეს წიგნები დღეს, როცა პარტიის საქმის სიმართლისადმი ხალხის რწმენა განუზომლად განმტკიცდა?

— **მე მგონია, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, კიდევ რომელი წიგნები გადაეცით ღია ფონდებს?**

— ყველას, რა თქმა უნდა, ვერც გაიხსენებ. მაგალითად, თუ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ლიტერატურაზე ვილაპარაკებ, დავასახელებდი კრებულს „ლენინი ტროცკისა და ტროცკიზმის შესახებ", ვლადიმერ ილიას ძის რამდენიმე მოგონებას თანამებრძოლებზე, ა. ვ. ლუნაჩარსკის ნაწარმოებებს: ვთქვათ, მის ესერთა პარტიის ისტორიის ნარკვევს „ყოფილი ადამიანები", სტატიების კრებულს „ხელოვნება და რევოლუცია", წიგნს „ლიტერატურული სილუეტები"; ნ. კ. კრუპსკაიას და კლარა ცეტკინის რამდენიმე ნამუშევარს, თვალსაჩინო ლენინელი ბოლშევიკის, პარტიის ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსის ვ. ი. ნევსკის შრომებს, ემელიანე იაროსლავსკის, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩისა და სხვების შრომებს. მხატვრულ ლიტერატურაში არის, ჩემი აზრით, საინტერესო, სერგეი ესენინის ლექსთა კრებულები (ექვსი) და მასზე მოგონებანი, მიხეილ კოლცოვის 1928-1929 წლებში გამოცემული თხზულებათა სამტომეული, იმავე პერიოდის სხვა წიგნები, იგორ სევერიანინის ნაწარმოებები, მწერლების ივანე შმელიოვისა და ევგენი ზამიატინის ნაწარმოებები, რომლებიც ძალზე დიდი ხანია არ გამოქვეყნებულა.

— **მინდა გკითხოთ, რა ბედი ეწია წიგნებს, რომელთა ავტორებს თავის დროზე მსჯავრი დაადეს, ეგრეთ წოდებული „ანტისაბჭოური მემარჯვენეტროცკისტული ბლოკის" საქმის გამო...**

— მაშინვე, როგორც კი გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის ცნობა, ჩვენ დავიწყეთ მუშაობა საერთო ფონდებში ამ წიგნების დასაბრუნებლად. ბევრი უკანონოდ რეპრესირებული, ამჟამად სახელაღდგენილი პოლიტიკური მოღვაწის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: მაგალითად, ნ. ი. ბუხარინის კალამს ეკუთვნის 180-ზე მეტი წიგნი და ბროშურა, ა. ი. რიკოვს — სამოცდაათამდე. და აი, გასულ ხუთშაბათს ხელმოწერილია ბრძანება, რომ მათი ნაწარმოებები, აგრეთვე ა. პ. როზენგოლცის, მ. ა. ჩერნოვისა და სხვათა წიგნები საერთო ფონდში დაბრუნდეს. ეს არის ხუთასზე მეტი დასახელების გამოცემა.

— **მებადება კიდევ ერთი კითხვა. ცნობილია, რომ სპეცფონდებშია იმათი ნაწარმოებებიც, ვინც ბოლო ათწლეულების მანძილზე დატოვა ჩვენი ქვეყანა. ხომ არ გადახედავთ „დახურული" ლიტერატურის ამ ნაწილსაც?**

— ამ შემთხვევაში, მე მგონია, ასეთი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ: თუ ამ ავტორების წიგნები თავის დროზე ჩვენს ქვეყანაში გამოვიდა, ღია ფონდებს უნდა დაუბრუნდეს. უფრო რთულად არის იმ ნაწარმოებთა საქმე, რომლებიც საზღვარგარეთ გამოიცა. როგორც ჩანს, ყოველი მათგანი დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ. და თუ აშკარა ანტისაბჭოური მიმართულებისა არ არის, თუ ჩვენი კონსტიტუციის დებულებებს არ ეწინააღმდეგება, რა ვუყოთ, ასეთმა წიგნებმა, ალბათ, თავიანთი ადგილი უნდა დაიკავონ საერთო ფონდებში.

ერთი სიტყვით, როგორც მოგახსენეთ, ჩვენ მოვალენი ვართ ნოემბრისათვის დავამთავროთ მუშაობა, და ოდესღაც „რეპრესირებული წიგნების" რაოდენობას აბსოლუტურ მინიმუმამდე შევამცირებთ.

— **შეიძლება თუ არა დაბრუნებული წიგნების ხელახლა გამოცემა?**

— უცილობლად.

— **ქსეროქსით გადაღება?**

— ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა წიგნისა, რომლებიც სხვა ფონდებშია.

— **ჩვენი საუბრის დაწყებისას თქვენ იმ საზღვარგარეთული გამოცემების საკითხს შეეხეთ, რომლებიც სპეცფონდებშია. მისაწვდომი გახდება თუ არა ისინი ფართო მკითხველისათვის?**

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოში არსებობს ორი პოლიტიკური სისტემა, ორი იდეოლოგია, და მათ შორის ბრძოლა სრულიადაც არ შეწყვეტილა. სწორედ ამიტომ შეიქმნა სპეცფონდები იმ ლიტერატურისათვის, რომელიც საზღვარგარეთ გამოდის. მაგრამ თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბევრი წიგნი, რომელიც დასავლეთში გამოდის, „იდეოლოგიური დივერსიის" ნიმუშად მიგვაჩნდა და ლამის ავტომატურად აღმოჩნდებოდა ხოლმე „დახურულებში", ახლა მათდამი მიდგომის კრიტერიუმები შეიცვალა; ისინი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხდება. დარწმუნებული ვარ, [illegible] სთავაზობს მათ [illegible] რი. მაგალითად, [illegible] ლას აქვს ნება თავისუფლად ჩამოიტანოს ან მიიღოს საზღვარგარეთიდან პირადი სარგებლობისათვის რელიგიური პირველწყაროები, — ბიბლია, ყურანი, სახარება და ა. შ., რელიგიური ჟურნალები, თუ, რა თქმა უნდა, ანტისაბჭოურ სტატიებს არ შეიცავს. მე მგონია, ასეთი ვითარება სავსებით გონივრული და სამართლიანია.

დავუბრუნდები თქვენს შეკითხვას და ვიტყვი, რომ დღეს საერთო ფონდებში დაბრუნებულია გამოუკლებლივ მთელი საცნობარო და ენციკლოპედიური ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთ გამოსულა. ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს პოლიტიკური და მხატვრული წიგნის მიმართაც. მართალია, ამგვარი წიგნები ძალზე ბევრი დაგროვდა და იმისათვის, რომ თითოეულ მათგანზე გადაწყვეტილება მიგვეღო, დიდძალი დრო დაგვჭირდებოდა, ამიტომ პროცესის დასაჩქარებლად სსრ კავშირის მთავლიტმა ამჟამად სპეცფონდების ყველა მფლობელს — ბიბლიოთეკებს, სხვადასხვა უწყებას, საწარმოებსა და დაწესებულებებს უფლება მიანიჭა თვითონ გადაწყვიტონ მთელი იმ ლიტერატურის (წიგნებისა და ჟურნალების) საერთო ფონდებში გადაცემის საკითხი, რომელიც 1985 წლამდე გამოვიდა საზღვარგარეთ.

სამწუხაროდ, სპეცფონდების მფლობელები, გარკვეული ინერტული აზროვნებისა თუ თავისებური ფსიქოლოგიური გაუბედაობის გამო, არ ჩქარობენ ამ უფლების გამოყენებას. ეს მუშაობა უფრო სწრაფ ტემპს მოითხოვს, ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანაში გამოცემული ლიტერატურის გადაცემა ღია ფონდებში.

— **თუ სწორად გავიგეთ, პარადოქსული სიტუაცია იქმნება: წინათ სსრ კავშირის მთავლიტის წარმომადგენლები უწევდნენ კონტროლს, რომ ბიბლიოთეკების ღია ფონდებში არ აღმოჩენილიყო „სპეცფონდის" რაიმე გამოცემა, ახლა კი საპირისპიროდ ხართ დაინტერესებული?**

— სხვაგვარად კომისიის საქმიანობა ყოვლად უაზრო იქნება. ჩვენ ხომ ვცდილობთ რაც შეიძლება მალე გავწმინდოთ ათწლეულების მანძილზე ჩახერგილი ადგილები. და, რაც მთავარია, სრულიადაც არ ვაპირებთ ახლის შექმნას: დღეს სპეცფონდებში 10-15-ჯერ ნაკლებ წიგნებს ვგზავნით, ვიდრე, ვთქვათ, წელიწადნახევარ-ორი წლის წინათ. სხვათა შორის, სპეცფონდებიც ახლა გაცილებით უფრო მისაწვდომი გახდა: მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შემოქმედებითი კავშირების წევრებს, მათ შორის სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრებსაც, უფლება აქვთ იმუშაონ სპეცფონდებში, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ საწევრო ბილეთის წარდგენა, მეცნიერებათა დოქტორებმა და კანდიდატებმა კი უნდა წარმოადგინონ დიპლომი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ. არავითარი სხვა საბუთი საჭირო აღარ არის. რამდენიმე რეგიონში, დიდ ბიბლიოთეკებში, მათ შორის ლენინის ბიბლიოთეკაშიც ეს დებულება უკვე მოქმედებს.

დაბრუნებულია სპეცფონდები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითს სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს (სსრ კავშირის მთავლიტის) კოლეგიის წევრი ვ. ა. სოლოდინი უპასუხებს „სოვეტსკაია კულტურას" კორესპონდენტს.

„სოვეტსკაია კულტურა". 1988 წ. 22 III.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

გაზაფხული. ს. კილაძის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ჯილდოები მოსწავლეებს

საქართველოს სსრ მეცნიე-[illegible] მოსწავლეთა რესპუბლიკური სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციის ასეთივე ჯილდოები მიენიჭათ აგრეთვე თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეებს ა. ზირაქიშვილს, ე. კავთიაშვილს, გ. ჩიჩუას, ე. გოდერძიძეს.

სულ კი კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა რაიონის თითქმის სამი ათასი ნამუშევარი. ამასთან, რამდენიმე ათეული ფინალისტი წახალისდა რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს ჯილდოებით.

კოოპერატივი მახარაძეში

„**განთიადი**" — ასე ეწოდება კოოპერატივს, რომელიც მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალში შეიქმნა. იგი ამზადებს სააბაზანო კომპლექტებს, დეკორატიულ ფარდებს, ჩვილი ბავშვის მოსასხამებს და სხვა ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელს.

კოოპერატივი ხუთი თვეა, რაც [illegible] კოოპერატიული ჯერჯერობით აერთიანებს ექვს პენსიონერს, სამ დიასახლისსა და ორ შეთავსებით მომუშავეს.

სასოფლო საბჭომ ენთუზიასტებს სოფლის ცენტრში შენობა გამოუყო, რაც „განთიადს" წარმოების გაფართოების საშუალებას მისცემს. წელს აქ 200 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ვარაუდობენ.

რუბრიკისათვის მასალები მოამზადა ქ. ბაზაძემ.

მხატვრის ღიმილი

[illegible]

— „ჩემო ტკბილო, მეგობაროოო!"...

ვ. კუციას ნახატი.

ტელევიზია—კვირა, 3 აპრილი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — დოკუმენტური ფილმი. 10.20 — „სპორტლოტო". 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — კინოაფიშა. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — ხალხური შემოქმედება. ტელემიმოხილვა. 16.15 — ინგლისური სამეცნიერო-პოპულარული ტელეფილმი „სიცოცხლე დედამიწაზე". V სერია. 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — სტუმრად ზღაპართან. მხატვრული ფილმი „მოხუცი ხოტაბიჩი". 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საკვირაო კინოდარბაზი. 20.25 — მხატვრული ფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.10 — მუსიკალური ფილმი „გლენ მილერი. მთვარის შუქის სერენადა" (აშშ). 0.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.35 — ჩვენი ბაღი. 9.50 — „ვარსკვლავი". სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი მოსწავლეთათვის. 10.40 — პორტრეტები. „კვლავ იმად დავრჩით". ლიცეუმი. 19 ოქტომბერი. 11.55 — „ერუდიტი". სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.35 — გაკვეთილზე მასწავლებელთან... ლიტერატურის მასწავლებელი ე. ლ. ილინი (ლენინგრადი). 12.55 — ჟურნალი „ტელეეკო". 13.25 — მსოფლიოს გარშემო. კინოალმანახი. „რისხვით აღსავსე დედამიწა". V სერია (საფრანგეთი). 14.50 — გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება. აკადემიკოსი ე. ა. ფერსმანი. 15.00 — მხატვრული ტელეფილმი „სახელმწიფო საზღვარი". პირველი ფილმის I და II სერია. 17.10 — „პოეტის სული". ციკლიდან „მამულის სასახელო სახელები". ვ. ა. ჟუკოვსკის შემოქმედება. 17.30 — ვ. კოროსტილიოვი. „ფიროსმანი, ფიროსმანი...". ლიტვის სსრ ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრის ფილმ-სპექტაკლი. 19.55 — სატელევიზიო მუსიკალური აბონემენტი. გ. გ. ნეიგაუზის დაბადების 100 წლისთავი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — აღმოსავლეთ ციმბირი. კინოჟურნალი. 21.25 — ხელბურთი. თასის მფლობელთა თასი. ვაჟები. ნახევარფინალი. მინსკის სკა — იუგოსლავიის „მედვეშჩაკი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი „რეპუტაცია".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.40 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტფილმები. 10.15 — „დილა მშვიდობისა!".—საკვირაო გასართობი პროგრამა. 11.00—სამეურნეო მექანიზმი—სიახლენი, პრობლემები, 11.30—კინოაფიშა. 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.05 — ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა. 12.40 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.10 — ახალგაზრდობისათვის. „ჯაზ-ფესტივალი პოლონეთში". 13.55 — საკვირაო გამოფენა. 14.00 — „ხომლი". ლიტერატურული სატელევიზიო ჟურნალი. 15.10 — „ვესტნიკი". 15.40 — საკვირაო გამოფენა. 15.45 — ხალხური შემოქმედება. მღერის ანსამბლი „გორი". 16.40 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები". კლიმენტი ცომაია. 16.55 — საკვირაო გამოფენა. 17.00 — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!". ეძღვნება გეოლოგის დღეს. 18.00 — ახალგაზრდობისათვის. „ბიჭი, რომელიც გაზაფხულს ელოდა". 18.15 — კონცერტი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული თეატრი დიდ და მძიმე გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.10 — პრემიერა ამერიკული ფილმკონცერტისა „გლენ მილერი. მთვარის შუქის სერენადა".

სპორტი

ფიზკულტურა ყველასათვის

გვიხმობს ჯანმრთელობის დღესასწაული

ჩვენში იშვიათად ნახავთ კაცს, გულგრილი რომ იყოს სპორტის მიმართ. სპორტულ შეჯიბრებებს, როგორც წესი, უამრავი მაყურებელი ესწრება, მაგრამ გულშემატკივრობიდან აქტიურ ფიზკულტურელობამდე „შორი" მანძილია. ამას წინათ, სოციოლოგებმა საინტერესო გამოკითხვა მოაწყვეს; მიგაჩნიათ თუ არა ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა თქვენი ჯანმრთელობის განმტკიცების აუცილებელ საშუალებად? ვარჯიშობთ თუ არა სპორტში რეგულარულად? აი, ამ კითხვებით მიმართეს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს.

პირველი კითხვის პასუხი, უმეტეს შემთხვევაში, იდენტური იყო: „დიახ!", აი, მეორე კითხვის პასუხები კი ერთობ დამაფიქრებელი გამოდგა. გამოკითხულთა მხოლოდ ერთმა პროცენტმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია ფიზკულტურასთან და სპორტთან. რა გამოდის? მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აღიარებს ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს, მაგრამ, პრაქტიკულად, „ჯიუტად" დგას ნეიტრალიტეტის პოზიციაზე.

საიდან მოდის ასეთი ინერტულობა? სპორტული ექსპერტები ამის მიზეზებს ხედავენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ცუდ ორგანიზაციაში, სათანადო რეკლამის უქონლობაში, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასიურობაში, აგრეთვე, სპორტული ბაზების, ინვენტარისა და ფორმის სიმცირეში. განსაკუთრებით ბევრი პრობლემა დაგროვდა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციაში. მიკრორაიონებსა და უბნებში ძალზე ცოტაა მოხერხებული სპორტული ბაზები, სექციები სხვადასხვა ასაკისა და სქესის მოსახლეობისათვის. თბილისს, მაგალითად, ბოლო წლებში არაერთი სპორტული ბაზა და ნაგებობა შემატა, მაგრამ ისინი ძირითადად დიდი შეჯიბრებებისა და ტურნირების გასამართავად, სპორტსმენთა სავარჯიშოდ არის გათვალისწინებული. ამ ბაზებით, მეტნაკლებად, ახლომდებარე სახლების მობინადრენიც სარგებლობენ, მაგრამ ისინი მიუწვდომელია ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის.

მასობრივი ფიზკულტურის განვითარებაში არსებული ხარვეზი ნაწილობრივ მაინც უნდა შეავსოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელმა ღონისძიებებმა, რომლებიც ბოლო წლებში სისტემატურად ეწყობა ჩვენს რესპუბლიკაში. ერთი ასეთი მასობრივი ასპარეზობა დღეს გაიმართება და მასში ათეულ ათასობით ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. რესპუბლიკის ფიზკულტურელთა განკარგულებაში იქნება თითქმის ყველა სპორტული ბაზა, საცურაო აუზი, ღია მოედანი, კულტურისა და დასვენების პარკი. ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ ჯანმრთელობის დღესასწაული საინტერესოდ ჩაივლის. რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაუმეგობრდეს ფიზკულტურას, სპორტს, გააგრძელოს სისტემატური ვარჯიში. ამაში ვხედავთ ამგვარი ასპარეზობის უპირველეს მიზანსა და დანიშნულებას.

ფეხბურთის ფედერაციის თასზე

კიევისა და მინსკის დინამოელთა მატჩით დაიწყო ფეხბურთის ფედერაციის თასის 1988 წლის გათამაშება. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 2:0 (1:0). ორივე გოლი ზიგმანტოვიჩმა გაიტანა.

დღეს თასის გათამაშებაში ჩაებმება თბილისის „დინამო", რომელიც ალმა-ათის „ქაირათს" უმასპინძლებს. ეს მატჩი ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე 18 საათზე დაიწყება.

მოკლედ

როგორც ფიდეს სამდივნო იუწყება, მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მატჩს მალე მოჰყვება მსოფლიო პირველობის გათამაშების მორიგი ციკლი. 1989 წლის იანვარ-მარტში უნდა ჩატარდეს ამ ახალი ციკლის ზონალური ტურნირები. ამავე წლის მაის-ივნისში მოეწყობა ორი საზონათშორისო ტურნირი.

1990 წლის დამდეგს გაიმართება 8 პრეტენდენტის ორწრიანი მატჩ-ტურნირი, შემოდგომაზე კი ახალი მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

ჭადრაკი. ბრიუსელში დაიწყო დიდი საერთაშორისო შეჯიბრება —მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპი, რომელშიც 18 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის 6 საბჭოთა დიდოსტატი (კარპოვი, ბელიავსკი, სალოვი, სოკოლოვი, ტალი და ვაგანიანი).

პირველ ტურში სოკოლოვი დამარცხდა იუგოსლაველ ლიუბოევიჩთან, პორტიშისა (უნგრეთი) და სეირავანის (აშშ) შეხვედრა გადაიდო, დანარჩენი პარტიები კი ყაიმით დასრულდა.

უცხოური იუმორი

უსიტყვოდ.

რედაქტორი ნ. ფოფხაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10723 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14